

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება ეყრდნობა მოსახრებას, რომ სოციალური მომსახურება არ არის ქველმოქმედება, არამედ ის არის ჯანსაღი, დემოკრატიული, სოლიდარული და მხარდამჭერი საზოგადოების ყველა წევრის უფლება. ის განიხილავს სოციალური მომსახურების მიმღებებს როგორც „უფლების მქონეებს“ ხოლო მთავრობას და მომსახურების მიმწოდებლებს, როგორც „უფლების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ“ მხარეებს.

უფლებებზე დაფუძნებული მომსახურება ეყრდნობა და ითვალისწინებს ისეთ საერთაშორისო დოკუმენტებს როგორცაა: 1) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 2) ბავშვთა უფლებების კონვენცია; 3) შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია; 4) დაბერების მადრიდის საერთაშორისო სამოქმედო გეგმა და მისი განხორციელების რეგიონული სტრატეგია და სხვა უფლებრივი დოკუმენტები.

უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების ძირითადი სტანდარტები

უფლებებზე დაფუძნებული მომსახურება უნდა იგეგმებოდეს, ხორციელდებოდეს და ფასდებოდეს შემდეგი ექვსი ძირითადი სტანდარტის მიხედვით



უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების სტანდარტები უპრადონა შენაღებ უფლებრივ პრინციპებს:

- ადამიანის ღირსების, დამოუკიდებლობის, ავტონომიის და არჩევანის თავისუფლების პატივისცემა
- არადისკრიმინაციული მიდგომა
- სრული სოციალური ჩართულობა და მონაწილეობა
- ადამიანის მრავალფეროვნების პატივისცემა და მიმღებლობა, შებლუდული შესაძლებლობის ხედვა, როგორც ამ მრავალფეროვნების ნაწილი
- თანაბარი შესაძლებლობები
- ხელმისაწვდომობა
- გენდერული თანასწორობა
- განვითარების შესაძლებლობების აღიარება და იდენტიფიკაცია პატივისცემა
- აქტიური პარტნიორობა მომსახურების მიმწოდებლებსა და მიმღებებს შორის და სადაც რელევანტურია, თანამშრომლობა მათ მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან, მზრუნველებთან და უფლებადამცველებთან.

სტანდარტი I უფლებების განხორციელების ხელშეწყობა

მე მაქვს უფლება ვაკონტროლო და არჩევანი გავაკეთო მომსახურების ან დახმარების მიღებისას. ასევე უფლება მაქვს გავწიო გარკვეული რისკები და ვიყო დისკრიმინაციისგან და ზიანისგან თავისუფალი. **შედეგად**, მე მაქვს შესაძლებლობა, ჩემთვის სასურველი ფორმით და სასურველ დროს მივიღო მომსახურება ღირსების დაცვით და უსაფრთხოდ.

მომსახურების სტანდარტი

მომსახურების მიმწოდებელი ხელს უწყობს ადამიანის ისეთი უფლებების რეალიზებას, როგორცაა გამოხატვის თავისუფლება, თვითგანსაზღვრის და გადაწყვეტილების მიღების უფლება.

მომსახურების მიმწოდებელი აქტიურად ნერგავს და ახორციელებს ძალადობის, ზიანისა და უგულვებლყოფის პრევენციისაკენ მიმართულ ღონისძიებებს; მომსახურების მიმღებს ექცევა ღირსების დაცვითა და პატივისცემით; აწესებს მხოლოდ მინიმალურ, თანამედროვე მიდგომებთან შესაბამის და ბენეფიციარის უფლებებით დასაბუთებულ შებლუდებს; პატივს სცემს ბენეფიციარის უფლებას გაწიოს თუნდაც

ჯანმრთელობის და კეთილდღეობის რისკები, რისი უფლებაც მას ექნებოდა მომსახურების გარეშე. აღნიშნული რისკების პრევენციას ახდენს „რისკის გაწვევის ღირსების“ პრინციპის დაცვით, დარწმუნებით და არა შებლუდებით. შებლუდების სიმცირე და დასაბუთებული გარდაუვალობა, უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის მნიშვნელოვანი ინდიკატორია.

სტანდარტი II თანამონაწილეობა და ინკლუზია

მე მაქვს უფლება ვიყო ჩემ მიერ არჩეული თემის წევრი. ასევე უფლება მაქვს სურვილისამებრ ვიქონიო ოჯახთან, მეგობრებთან და თემთან კონტაქტი/კომუნიკაცია. **შედეგად**, მომსახურების, ოჯახის, მეგობრების, მზრუნველების და ინტერესთა დამცველების მხარდაჭერით, ვახორციელებ ჩემს ინტერესებს.

მომსახურების სტანდარტი

მომსახურების მიმწოდებელი მუშაობს ინდივიდებთან, მათ ოჯახებთან, მზრუნველებთან და მეგობრებთან, რათა ხელი შეუწყოს ბენეფიციარების აქტიურ თანამონაწილეობას და მათ სოციალურ ინტეგრაციას.

სტანდარტი III ინდივიდუალური შედეგები

მე მაქვს უფლება წარვმართო საკუთარი ცხოვრება და მივიღო გადაწყვეტილებები თუ როგორ დამეხმარება მომსახურების მიმწოდებელი ამაში. **შედეგად**, მე ვიყენებ ჩემს ძლიერ მხარეებზე დაფუძნებულ მხარდაჭერას ცხოვრებისეული მიზნების მიღწევისთვის.

მომსახურების სტანდარტი

მომსახურება და დახმარება ფასდება, იგეგმება, ხორციელდება და გადაიხდება ბენეფიციარის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, მათი ცხოვრებისეული მიზნების მიღწევად ხელშეწყობის მიზნით.

სტანდარტი IV უკუკავშირი

მე მაქვს უფლება და თავისუფლება მივცე პოზიტიური და ნეგატიური უკუკავშირი მომსახურების მიმწოდებელს, ჩემთვის გაწეული მომსახურების და დახმარების შესახებ. ასევე მაქვს უფლება მოვითხოვო რჩევა და დახმარება დამოუკიდებელი მხარისგან ამ უფლების განხორციელებისთვის. **შედეგად**, მე მაქვს აქტიური როლი მომსახურების გაუმჯობესებაში.

მომსახურების სტანდარტი

მომსახურების მიმწოდებელი რეგულარულად ახდენს უკუკავშირის შეგროვებასა და შედეგების გამოყენებას მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირზე დაყრდნობით ცვლის და აუმჯობესებს ინდივიდუალურ და ორგანიზაციულ მომსახურებას.

სტანდარტი V მომსახურების ხელმისაწვდომობა

მე მაქვს უფლება მივიღო მომსახურება და დახმარება, რომელიც ეფუძნება სამართლიან და გამჭვირვალე კრიტერიუმებს. ასევე მაქვს უფლება გამოვიყენო გადამისამართების მექანიზმი, როდესაც მომსახურების მიმწოდებელი ვერ მთავაზობს საჭირო დახმარებას ან მომსახურებას. **შედეგად**, მე მესმის რას მთავაზობს მომსახურება და მაქვს სამართლიანი ხელმისაწვდომობა მომსახურების შიდა და გარე მხარდაჭერაზე.



მომსახურების სტანდარტი

მომსახურების მიმწოდებელი მართავს მომსახურებაში ჩართვასთან, მის მიწოდებასთან და ამორიცხვასთან დაკავშირებულ პროცესებს გამჭვირვალედ, სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით.

სტანდარტი VI მომსახურების მართვა

მე მაქვს ისეთი მომსახურების და დახმარების მიღების უფლება, რომელიც იმართება ეფექტურად, ფასდება/ გადაიხდება რეგულარულად, არის მომსახურების მიმწოდებლის მაღალი პასუხისმგებლობის გამოვლინება და შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს. **შედეგად**, ჩემი ძლიერი მხარეები და საჭიროებები, მხარდაჭერილია კარგად მართული მომსახურებით.



მომსახურების სტანდარტი

მომსახურების მიმწოდებელი მართავს მომსახურებაში ჩართვასთან, მის მიწოდებასთან და ამორიცხვასთან დაკავშირებულ პროცესებს გამჭვირვალედ, სამართლიანობის და თანასწორობის პრინციპების დაცვით.



ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia



ბროშურა მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე სამწლიანი პროექტის (2019-2022 წ) “უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურების განვითარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და ხანდაზმულებისთვის” ფარგლებში, რომელსაც ასორციელებს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან - „საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია“ (თელავი, კახეთი) და „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან“ (ოზურგეთი, გურია) ერთად.

პროექტის მიზანია საქართველოში ისეთი სოციალური მომსახურებების განვითარება, სადაც ხელს უწყობენ და პატივს სცემენ მოწყვლადი ჯგუფების, კერძოდ, შშმ პირების და ხანდაზმულების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ უფლებებს. ერთი მხრივ პროექტის აქტივობები ფოკუსირებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურებების განვითარებასა და პილოტირებაზე, ხოლო მეორეს მხრივ, პოლიტიკურ/პროფესიონალური გარემოს გაუმჯობესებაზე აღნიშნული მიდგომის ეროვნულ დონეზე მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.



საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი



თბილისი 0177, იოველ ჯებაშვილის I გასასვლელი N. 5
+995 32) 2 39 90 19

ssdp@csrdg.ge
www.csrdg.ge



უფლებებზე დაფუძნებული სოციალური მომსახურება

თვალის ურთი გაღვავლება



ინილიუთ ვიდეოჩანაწერი

